

ნინო შარაშენიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

ninisharashenidze@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.75>**კრეატიულობა როგორც უცხო ენის სწავლების მნიშვნელოვანი****ასპექტი****(გერმანული ენის მაგალითზე)**

**საკვანძო სიტყვები:** კრეატიული მიდგომა, გერმანულის როგორც უცხო ენის სწავლება

კრეატიულობა უცხო ენის სწავლების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. იგი აძლევს სტუდენტებს მეტ მოტივაციას და ენის შესწავლას უფრო ინდივიდუალურს ხდის. კრეატიულობის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, ვინაიდან თითოეულ ლინგვისტს საკუთარი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რას მოიცავს ამ ცნების არსი.

„კრეატიული (შემოქმედებითი) აზროვნება არის აქტიუობა, რომელსაც ახალ ინფორმაციამდე ან მანამდე მიუგნებელ გადაწყვეტებამდე მივყავართ. ზოგიერთი პრობლემის გადაჭრა მოქნილობას, ორიგინალურობას და გამომგონებლობას მოითხოვს, განსაკუთრებით ის პრობლემები, რომელთათვის ინდივიდმა უნიკალური გადაწყვეტა ან გამოსავალი უნდა მოძებნოს. ხშირად ერთმანეთისგან განასხვავებენ კონვერგენტულ (ანალიტიკური მსჯელობა, რომელიც ინტელექტის ტესტებით იზომება) და დივერგენტულ აზროვნებას (გამოიხატება იდეების სიმდიდრითა და აზრის ორიგინალურობით)“ [ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში 2009].



დუდენის უნივერსალური ლექსიკონის თანახმად „კრეატიულობა“ არის შემოქმედებითი ძალა, ხოლო „კრეატიული“ იდეების მხატვრულ გაფორმებას ნიშნავს [Duden Universalwörterbuch 2003: 959]. კრისტოფ ლორეის თანახმად, კრეატიული ადამიანი საკუთარი სულის წყაროდან ქმნის სიახლეს, რომელიც აქამდე არ არსებობდა [შდრ. Lorey 2000: 9-16].


როგორც ბენო ესცერი აღნიშნავს, კასპარ შპინერი თავის ნაშრომში „კრეატიული წერა“ (1993) მიუთითებს იმაზე, თუ როგორ იცვლებოდა კრეატიულობის ცნების გაგება დროთა განმავლობაში. თუ 70-იან წლებში კრეატიულობა დივერგენტულ აზროვნებას აღნიშნავდა, რომელიც გულისხმობდა ჩვეულებრივი ჩარჩოების რღვევას და ახალი, ინოვაციური იდეების აღმოჩენას, 80-იან წლებში კრეატიულობის ცნება უფრო სუბიექტური გახდა. კრეატიულობად უკვე შინაგანი სამყაროს გამოხატვა და საკუთარი გამოცდილების გაზიარება იყო მიჩნეული. 90-იან წლებში კრეატიულობას აღიქვამდნენ როგორც შემოთავაზებული პროდუქტის ან პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალურობას. კრეატიულობა ეხება არა მარტო აზროვნებასა და ქმედებას, არამედ მათ შედეგსაც. შტეფანი

რაიტის თანახმად, ქმედება ან პროდუქტი მაშინაა კრეატიული, როცა ჩვენ მას ახლებულად აღვიქვამთ „Wir bezeichnen eine Handlung oder ein Produkt aus folgenden Gründen als kreativ: – wenn das Produkt neuartig und wertvoll ist, – wenn der Weg, der zum Produkt führt, neuartig ist, – wenn wir etwas auf neuartige Weise wahrnehmen, fühlen, erkennen oder denken.“ კასპარ შპინერი კი თვლის, რომ კრეატიულობა ერთის მხრივ ენობრივი ნორმების რღვევაა, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოსახვის უნარის აქტივირებაა. კრეატიულობის ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული დეფინიცია კი ეკუთვნის ბ. ჰიზელისს, რომლის თანახმად კრეატიულობა ინდივიდის მიერ სამყაროს აღქმას გამოხატავს: „Kreative Leistung ist [...] die erstmalige Formgebung eines Bedeutungsuniversums, der Ausdruck davon, wie das Individuum seine Welt und sich selber versteht.“ განხილული დეფინიციების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კრეატიულობა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ბენო ესცერი ხაზს უსვამს იმას, რომ თითოეული ადამიანი მეტ-ნაკლები კრეატიულობით გამოირჩევა. ეს ხდება მაშინ, როდესაც რაღაც ნაცნობიდან ახალი და განსაკუთრებული რამ იქმნება: „Unter Kreativität versteht man folglich die Fähigkeit, dass Lernende aus bereits Bekanntem etwas Neues zustandebringen, ihr Wissen umstrukturieren und mehr oder weniger mit ihren Texten ein „Aha“-Erlebnis auslösen“ [შრდ. Eszter 2011: 79-96].


კრეატიულობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს გერმანული ენის სწავლების დიდაქტიკაში და სასწავლო პროცესს საინტერესოს ხდის. შემოქმედებითი მიდგომა ეხმარება სტუდენტებს ენის შესწავლის ყველა ასპექტში, მაგალითად მოსმენილის ან წაკითხულის გაგებისას, საუბრის ან წერის დროს. რთული გრამატიკული მოვლენების ათვისებისას სხვადასხვა თამაში, დიალოგის ორიგინალური ფორმა ან ვიდეომასალის არაკონვენციონალური დამუშავება უცხო ენის შესწავლას გაცილებით ცოცხალსა და მიმზიდველს ხდის. უაღრესად ეფექტური შეიძლება იქნეს ასევე ინტერაქტიური თამაშები, უცხო ენაზე თავშესაქცევი ისტორიების შეთხზვა, სიმღერა ან ვიდეოკლიპების საფუძველზე დავალებების შესრულება. კრეატიული მიდგომა გვაძლევს საშუალებას გამოვიყენოთ დამატებითი თვალსაჩინო მასალა, მაგალითად სურათები, რაც ხელს უწყობს არა მარტო ლექსიკის ან გრამატიკის შესწავლას, არამედ წინადადების გამართული სტრუქტურის ათვისებასაც. გამომდინარე იქიდან, რომ ვიზუალური გამოსახულება მეხსიერებაში უფრო დიდხანს რჩება, ვიდრე მხოლოდ ვერბალური ინფორმაცია, შეიძლება ითქვას, რომ სურათები ახალი ლექსიკის შესწავლის იდეალური დამხმარე საშუალებაა. ის, თუ რაოდენ ეფექტურია ილუსტრაციების გამოყენება ლექსიკური ერთეულების, და კერძოდ იდიომების დამახსოვრების პროცესში, შეიძლება ვიხილოთ შემდეგ მაგალითებზე:

გერმანული იდიომის ქართული შესატყვისი	გერმანული იდიომა	სიტყვასიტყვით თარგმანი	თვალსაჩინო მასალა
პირისპირ	unter vier Augen	ოთხ თვალს შორის	


წყობიდან გამოყვანა	j-n auf die Palme bringen	ვინმეს პალმაზე აყვანა	
ზურგის შექცევა	die kalte Schulter zeigen	ცივი ბეჭის ჩვენება	
ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია	keine Rosen ohne Dornen	არ არსებობს ვარდები ეკლების გარეშე	
სიყვარული ბრმაა	Liebe macht blind	სიყვარული აბრმავებს	

არაფერი მესმის	Ich verstehe nur Bahnhof	მხოლოდ სადგური მესმის	
-------------------	-----------------------------	--------------------------	--

გერმანული ენის შესწავლის დროს სურათების გამოყენება ძალიან ეფექტურია. მაგალითად პირველ ეტაპზე დამწყებ მოსწავლეს შეუძლია გააკეთოს უბრალო ჩამონათვალი, შემდგომ კი შეადგინოს ელემენტარული ტექსტები, რომელთა სტრუქტურა მარტივ წრფივ პროგრესიას შეესაბამება:




[Themen neu 2000: 33]



მაგ., Ich sehe auf dem Bild viele Lebensmittel. Das sind Brot, Wurst, Kartoffeln, Butter usw. Sie sind frisch.

სწავლების ამ ეტაპზე უპრიანი იქნება გამოვიყენოთ ასევე პროგრესია გამჭოლი თემით:



მაგ., Das Brot liegt auf dem Tisch. Es ist frisch. Es liegt neben dem Käse.

სურათების გამოყენება ძალიან ეფექტურია ასევე უცხო ენის სწავლების შედარებით მაღალ საფეხურზე, ვინაიდან ილუსტრაციის ან ფოტოს საფუძველზე სტუდენტს აქვს საშუალება გამოთქვას თავისი აზრი, გააკეთოს შესაბამისი ინტერპრეტაცია, შეადგინოს დიალოგი ან დაწეროს მოკლე მოთხრობა.

ფოტოების, ილუსტრაციების ან კომიქსების სერიის დემონსტრირებამ შეიძლება გამოიწვიოს საინტერესო მსჯელობა ან მწვავე დისკუსიების საბაზად იქცეს. სურათებს ძალუძს ასახონ კულტურული განსხვავებები, საკუთარი ან უცხო ქვეყნის ტრადიციები და ადათ-წესები, რაც ჩვეულებრივ უცხო ენის შესწავლის მეტ მოტივაციას იწვევს.

შემოქმედების ფართო ასპარეზს გვაძლევს ლექსების გამოყენება. მათ ბაზაზე შექმნილი სავარჯიშოები საგრძნობლად ამდიდრებენ მეცადინეობის დავალებათა პალიტრას. ტრადიციულად გრამატიკა ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევადაა მიჩნეული გერმანული ენის შესწავლის დროს. გრამატიკული წესების მშრალ ფორმულირებას ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს ამავე წესების ჩამოყალიბება ლექსების სახით, რომელთა მეშვეობით იოლია, მაგალითად, შეისწავლო ზმნათა დროების შეთანხმება წინადადებაში:

**Präsens ist verliebt in Perfekt,  
Präteritum in Plusquamperfekt.**  
Denn sie verlass'n einander nie  
Haben Sätze Harmonie.

შემდეგი ლექსები დაეხმარება გერმანული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირებს დაიმახსოვრონ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირები თანადროულობის ან წინადროულობის გამოყენებისას:

**Sowie, nachdem, seitdem und seit**  
bezeichnen nur Vorzeitigkeit,  
und ihnen können helfen sehr  
**sobald, als, wenn** und niemand mehr.  
Dies' letzten drei Kusinen  
auch Gleichzeitigkeit dienen.  
**Bevor, bis, ehe** sind sehr beschäftigt,  
über die Arbeit sprechen heftig,  
und wenn sie manchmal haben Zeit  
besuchen nur Nachzeitigkeit.

ამ ლექსის მეშვეობით კი მარტივია სტუდენტმა დაიხსომოს მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვებისთვის დამახასიათებელი წინდებულები:

**Trotz, laut, zufolge, längs – aktiv**  
Im Dativ und im Genitiv.  
Auch **dank, außer, wegen, binnen**  
Können diesen Kasus dienen.

სავარჯიშოები ლექსების სახით ხელს უწყობს სიტყვათა მარაგის გაფართოებასა და სწორ კონტექსტურ გამოყენებას. მაგალითად, შეიძლება შევთავაზოთ სტუდენტებს, რობერტ რაინიკეს ლექსში შეცვალონ ხაზგასმული ზედსართავი სახელები სხვა ზედსართავი სახელებით მოცემული სიტუაციის შესაბამისად:

Der Schneemann auf der Straße  
Trägt einen weißen Rock,  
Hat eine rote Nase  
Und einen dicken Stock [Reinick 1999].

შესრულებული დავალების ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება გამოიყურებოდეს ასე:

Der Schneemann auf der Straße  
Trägt einen schönen Rock,  
Hat eine lange Nase  
Und einen großen Stock.

შემდეგი საინტერესო დავალება გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის, რომლებიც ენის შესწავლას მაღალ საფეხურზე აგრძელებენ. მათ აძლევენ ლექსს, სადაც სტროფების ბოლოს სიტყვებია გამოტოვებული. წინასწარ მოცემული სიტყვათა ჩამონათვალიდან სტუდენტებმა უნდა აარჩიონ სათანადო ლექსიკური ერთეულები და



შეავსონ ლაკუნები ისე, რომ ლექსი როგორც აზრობრივი, ასევე რითმული თვალსაზრისით გამართული გახდეს. ამგვარი დავალება ძირითადად ჯგუფურ სამუშაოს ითვალისწინებს. თავშესაქცევი, თუმცა საკმაოდ ეფექტური სავარჯიშოების შესაქმნელად შეიძლება გამოვიყენოთ გერმანულენოვანი გამოცანები აკროსტიქების სახით. სტუდენტთა დავალებაა სტროფის შინაარსსა და რითმაზე დაყრდნობით გამოიგონონ საკვანძო სიტყვა, რომელიც აკროსტიქის თემატიკას შეესაბამება. აქ წარმოდგენილია ორი აკროსტიქი, რომლებიც წყლის თემატიკასა და ი. ვ. გოეთეს შემოქმედებას ეძღვნება:

### **Wasserrätsel**

**Wie** lustig Tropfen

Straßen fegen.

Wie nennt man sie?

Sie heißen....

**Alle** liegen in der Sonne

Und die Straßen sind ganz leer.

Kinder können schwimmen, baden,

Braun werden nur am...

**Sein** Geschmack ist allerbeste,

Wird es kälter oder heißer,

Alle trinken nicht den Kaffee,

Sondern einfach reines ....

**Seine** Wässer sind am stillsten,

Man kann da oft Fischer sehen

Solche Zärtlichkeit und Ruhe

Schenkt uns großzügiger....

**Er** ist breiter als die Meere,

Er ist mächtig wie Titan,

Dieser schrecklich große Riese

Trägt den Namen ....

**Reiher** warten auf die Frösche,

Diese quaken laut im Chor,

Mücken, Ried und Seelilien,

Kann man sehen nur im....

აკროსტიქის ყოველი სტროფის პირველი ასო ქმნის სიტყვას Wasser (წყალი), ხოლო ყოველი გამოცანის პასუხი ერითმება შესაბამის სტროფს. გამოცანების პასუხებია: Regen (წვიმა), Meer (ზღვა), Wasser (წყალი), See (ტბა), Ozean (ოკეანე), Moor (ჭაობი).

### **Goethewelt in Rätseln**

**Götter** hassten diesen Helden,

ihn verfluchte selbst der Zeus.

Heimlich stahl für Menschen Feuer

edler, kühner. . . . .

**Oh**, wie tief ist seine Seele,

wo bald Licht, bald Hölle braust.

All` Geheimnisse des Lebens

eifrig will erkennen . . . . .

**Ein** Schicksal war so widersprüchlich

wie kaltes, launisches Wetter.

Kein Mensch litt wegen seiner Liebe  
wie treuer, ewig junger . . . . .

Teufel dieser ist ein Genie,  
verwirrt und glänzend wie die Mobiles,  
verführend und sehr raffiniert –  
der Feind der Menschheit . . . . .

Heiliges Gefühl der Liebe  
gab dem Faust dieses Mädchen,  
und der Gott hat dann gerettet  
das Gemüt der hübschen . . . . .

Ein märchenhaftes schönes Land,  
wo alles blüht und es ist sonnig,  
versprach dem kranken Kind im Wald  
der hinterlistige . . . . .

აკროსტიქის ყოველი სტროფის პირველი ასო ქმნის დიდი გერმანელი პოეტის გვარს Goethe (გოეთე), ხოლო ყოველი გამოცანის პასუხი ერითმება შესაბამის სტროფს. გამოცანების პასუხებია: Prometheus (პრომეთე), Faust (ფაუსტი), Werther (ვერთერი), Mephistopheles (მეფისტოფელი), Gretchen (გრეტჰენი), Erlkönig (ტყის მეფე).

შემოქმედებითი მეთოდების გამოყენების დემონსტრირება საინტერესოა გერმანული გრამატიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული და სტუდენტებში ნაკლებად პოპულარული თემის მაგალითზე, რომელსაც ზედსართავი სახელის ხარისხები და ბრუნება განეკუთვნება. გერმანულ ზედსართავ სახელთა შედარების ხარისხების შესწავლას ხელს უწყობს შემდეგი დავალება: სტუდენტების წინაშე დევს სურათი, რომელზეც დათვალიერების რაკურსიდან გამომდინარე ჩანს როგორც ახალგაზრდა, ასევე მოხუცი ქალბატონი. სტუდენტებმა უნდა შეადარონ ეს ორი გამოსახულება ზედსართავ სახელთა ხარისხების გამოყენებით, მაგალითად: Die junge Frau ist eleganter als die alte Frau (ახალგაზრდა ქალი უფრო ელეგანტურია, ვიდრე მოხუცი), Die alte Dame ist strenger als die junge (მოხუცი ქალბატონი უფრო მკაცრია, ვიდრე ახალგაზრდა) და ა.შ.



]

ზედსართავ სახელთა ბრუნებას საკმაოდ ბევრი გამონაკლისი აქვს და ზოგიერთი მათგანის დამახსოვრება იოლად შესაძლებელია ლექსის მეშვეობით, მაგალითად:

**Irgendwelche und sämtliche, beide und alle**  
saßen zusammen in einem Saale,  
Möchte ein Adjektiv zu ihnen kommen,  
Soll es die Endung **-en** bekommen.

შემოქმედებითი სწავლების დროს შეუძლებელია ტექნიკური საშუალებები ყურადღების მიღმა დარჩეს. ვიდეო სიუჟეტების ჩვენება სასწავლო პროცესს უფრო ეფექტურს და ინტერაქტიურს ხდის. ვიდეო ეხმარება სტუდენტებს დაეუფლონ ენას რეალობასთან მიახლოებულ კონტექსტში, შეისწავლონ სასაუბრო უცხო ენის ნიუანსები ყოველდღიურ სიტუაციებში იმ ინტონაციის, წარმოთქმის, კონოტაციისა და არავერბალური კომუნიკაციური ელემენტების გათვალისწინებით, რაც უცხო ენის მტარებლებისთვისაა დამახასიათებელი. ერთ-ერთი შემოქმედებითი ვიდეოსავარჯიშოს არსი მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტები თავდაპირველად უყურებენ ვიდეორგოლს გახმოვანების გარეშე (მაგალითად, მეგობრებს შორის კამათს) და შემდეგ წერენ დიალოგს, რომელიც, მათი აზრით, ამ პიროვნებებს შორის ხდება. შემდეგ სტუდენტები უსმენენ ვიდეოს ორიგინალურ ვერსიას და ადარებენ, სწორად გამოიცნეს თუ არა, რაზე იყო საუბარი. ვიდეო მასალა ძალიან ჰარმონიულად ერწყმის მეცადინეობის სტრუქტურას და ლექციას უფრო ცოცხალს და მიმზიდველს ხდის. გარდა იმისა, რომ სურათისა და ხმის კომბინაცია ავითარებს მოსმენილი ტექსტების გაგების უნარს, ვიდეოსიუჟეტების მეშვეობით სტუდენტები ეჩვევიან ლაპარაკის სისწრაფეს, განსხვავებული აქცენტის გაგებას და უცხო ენის სხვადასხვა რეგისტრში გამოყენების თავისებურებებს.

კრეატიული მიდგომა უცხო ენის სწავლების დროს ხელს უწყობს მრავალფეროვანი, ინდივიდუალური და პრაქტიკაზე ორიენტირებული დავალებების შექმნას, რაც სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს და ეფექტურს ხდის.

### ბიბლიოგრაფია:

1. ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში (2009): <http://dictionary.css.ge/content/divergent-thinking> (25.02.25).
2. Aufderstraße, H./ Bock H. u.a.(2000): Themen neu, 1. Auflage. Bd. 1. Ismaning: Hueber Verlag.
3. Brinker K. (1992): Linguistische Textanalyse. 4., durchgesehene und erweiterte Auflage. Berlin: Erich Schmidt Verlag.
4. Deutsches Universalwörterbuch (2003): 5., neu bearbeitete und erweiterte Auflage. Mannheim / Leipzig / Wien / Zürich: Dudenverlag.
5. Eszter, B. (2011): Kreatives Schreiben im DaF-Unterricht. Schreiben zu und nach literarischen Texten Neue Didaktik 1, S. 79-96.  
[https://www.pedocs.de/volltexte/2013/7477/pdf/NeueDidaktik\\_1\\_2011\\_Beno\\_Kreatives\\_Schreiben\\_im\\_DaF\\_Unterricht.pdf](https://www.pedocs.de/volltexte/2013/7477/pdf/NeueDidaktik_1_2011_Beno_Kreatives_Schreiben_im_DaF_Unterricht.pdf)
6. Lorey, Chr. (2000): Kreatives Schreiben im ersten Jahr Deutsch als Fremdsprache? Dreizehn Fragen und Antworten mit anregenden Aktivitäten. In Forum deutsch, Sommer 2000.
7. Reinick, R. (1999): Der Schneemann auf der Straße [https://www.medienwerkstatt-online.de/lws\\_wissen/vorlagen/showcard.php?id=4100](https://www.medienwerkstatt-online.de/lws_wissen/vorlagen/showcard.php?id=4100)
8. Scharaschenidse, N. (2009): Goethewelt in Rätseln. Ortsvereinigung Kuttaissi der Internationalen Goethe-Gesellschaft in Weimar e. V. Goethe-Tage 2009. Kuttaissi: Verlag der Staatlichen-Zereteli-Universität. Kuttaissi. S. 151. ISBN 978-9941-9043-2-6.



## **Creativity as an Important Aspect of Foreign Language Teaching Using the Example of the German Language**

### **Abstract**

Creative approaches in teaching German as a foreign language (DaF) play a significant role. They help students discover new ways to learn the language and make the learning process more personalized. The term "creativity" is difficult to define. There are numerous definitions, and each author interprets "creativity" a bit differently. Creativity occupies a central place in the didactics of teaching German and helps make the learning process more relaxed. Creative tasks and materials stimulate the imagination and spark learners' interest, even when the material to be learned appears quite complex and dull. Creative methods such as role-playing, interactive storytelling, and music motivate students to learn the foreign language more effectively.

The visual aspect plays a significant role in the creative framework of teaching. It is highly recommended to use images in the learning process, as their application is extremely effective at all stages of foreign language acquisition. Describing images not only aids in expanding vocabulary but also helps students better understand grammatical rules and initiate engaging discussions.

Creative tasks can be developed based on poems. These can be used in various ways in German as a Foreign Language classes to enhance language learning. Poems offer linguistic, cultural, and creative benefits that enrich the learning experience.

The application of the aforementioned creative methods is illustrated using the topic "Comparison and Declension Types of Adjectives," which is one of the most challenging aspects of German grammar and is particularly difficult for learners of German.

In creative learning, the use of technical tools should not be overlooked. Videos play an important role in German as a Foreign Language instruction and offer numerous advantages that make learning more effective and interactive.

Videos allow learners to experience the German language in real-life contexts. They can hear nuances of colloquial language in everyday situations, gaining insight into how native speakers use the language, including intonation, pronunciation, and nonverbal communication.

The video integrates smoothly into the lesson, making the lecture more lively and engaging. The combination of image and sound facilitates listening comprehension. The video subject also helps learners become accustomed to different accents, speaking speeds, and registers of language.

Creative approaches in German instruction provide an opportunity to enhance learners' language proficiency through motivating, individualized, and practical tasks, making the learning process particularly interesting and effective.

**Key words:** Creativity, Teaching of German Language